საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 628

16 07 2014 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეებისა
და სტრუქტურული ერთეულებისათვის მობილური ტელეფონებით
სარგებლობისათვის საჭირო თანხებისა და ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად
აუცილებელი საწვავის ზედა ზღვრული ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად მიზანშეწონილია, ქალაქ ქუთაისის მერიის მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის გამოყოფილი საწვავისა და მობილური ტელეფონებით სარგებლობის საჭირო თანხების ზედა ზღვრული ლიმიტების შეცვლა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"- 54-ე მუხლის 1 პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეებისა და სტრუქტურული ერთეულების მობილური ტელეფონებით სარგებლობისათვის საჭირო თანხების და ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად აუცილებელი საწვავის ზედა ზღვრული ლიმიტები თანდართული რედაქციით. /დანართი №1, №2 ერთვის/

2.ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ზ. ჯავახიამ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქ. №11)

4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი შ. მურღულია

ქალაქ ქუთაისის მერის 2014 წლის
16.07 № 628 ბრძანების
დანართი № 1

ქალაქ ქუთაისის მერიის საჯარო მოსამსახურეების
მობილური ტელეფონების ბარათების ყოველთვიური
ზედა ზღვრული ლიმიტების შ ე ს ა ხ ე ბ

№	თანამდებობა	მობილური ტელეფონების ბარათების ლიმიტები /ლარი/	საწვავის ლიმიტი თვეში /ლიტრი/	ქ. თბილისში მივლინება /ლიტრი/
1	ქალაქ ქუთაისის მერი	80	500	100
2	ქალაქ ქუთაისის მერის პირველი მოადგილე	50	400	80
3	ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე	50	300	80
4	ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	40	200	60

ქვეყნის სხვა ქალაქებში მივლინებისას საწვავის გადაანგარიშება მოხდეს ქ. თბილისში მივლინებისთვის საჭირო საწვავის პროპორციულად მანძილზე გადაანგარიშებით.

ქალაქ ქუთაისის მერი შ. მურღულია